განკარგულება:**გ-49.49221473**
თარიღი:**27/05/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 61

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4822144115; 24/05/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 27 მაისის №61 განკარგულების
დანართი №1

ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" 2022 წელი საშტატო განრიგი.

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკეთის ღირებულება
	სულ შტატი	**13.0**	
1	მმართველი	1	1500
2	საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოოდინატორი	1	800
3	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	540
4	ექიმი ეპიდემიოლოგი (იმუნიზაცია)	1	600
5	ექიმი ეპიდემიოლოგი (ეპიდზედამხედველობა ანტირაბიული სამსახური)	1	600
6	ექიმი პარაზიტოლოგი	1	540
7	პარაზიტოლოგი ლაბორანტი	1	420
8	იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკაზე (ცივ ჯაჭვზე) პასუხისმგებელი პირი	1	420
9	ექიმი პროფილაქტიკოსი/პრევენციონისტი	1	540
10	იურისტი	1	540
11	დამლაგებელი	1	265
12	ენტომოლოგი	1	540
13	მძღოლი	1	360